საქართველოს მთავრობის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 2489 2019 წლის 29 ნოემბერი ქ. თბილისი

„საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი გაზით მომარაგებისათვის საჭირო ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 5 აპრილის №790 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი გაზით მომარაგებისათვის საჭირო ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 5 აპრილის №790 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და:

ა) განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი გაზით მომარაგების ღონისძიებების ხელშეწყობის მიზნით, ეთხოვოს შპს „სოკარ ჯორჯია გაზს“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფლების: ტყაიის, განმუხურისა და შამგონის იმ ოჯახების ბუნებრივი გაზის გამანაწილებელ ქსელზე მიერთების უზრუნველყოფა, რომლებიც არ არიან დარეგისტრირებულნი

ბუნებრივი გაზის აბონენტებად და რომლებიც „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2009 წლის 9 ივლისის №12 დადგენილებით დამტკიცებული წესის (შემდგომში – წესი) შესაბამისად (მათ შორის, წესით გათვალისწინებულ ვადაში და საფასურის ოდენობით, რომელიც ახალი მომხმარებლის მოთხოვნის შემთხვევაში, ასევე მოიცავს შიდა ქსელის ერთი წერტილის მოწყობასა და ბუნებრივი გაზის მოხმარების ერთი ხელსაწყოს დაერთებას), ბუნებრივი გაზის გამანაწილებელ ქსელზე მიერთებისათვის მიმართავენ შპს „სოკარ ჯორჯია გაზს“ 2020 წლის 1 აპრილამდე.“;

ბ) განკარგულების მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ამ განკარგულების პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების მიზნით, სამინისტროსა და შპს „სოკარ ჯორჯია გაზს“ შორის შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში შპს „სოკარ ჯორჯია გაზმა“ მიაწოდოს სამინისტროს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფლების: ტყაიის, განმუხურისა და შამგონის იმ ოჯახების სიები და ინფორმაცია თითოეულ აბონენტზე წესის შესაბამისად ფაქტობრივად დარიცხული გამანაწილებელ ქსელზე მიერთების საფასურის შესახებ, რომლებიც უკვე დარეგისტრირებულნი არიან აბონენტებად, ხოლო იმ აბონენტების სია და ინფორმაცია წესის შესაბამისად ფაქტობრივად დარიცხული მიერთების საფასურის შესახებ, რომლებიც არ არიან დარეგისტრირებულნი ბუნებრივი გაზის აბონენტებად, მაგრამ წესის შესაბამისად მიმართავენ შპს „სოკარ ჯორჯია გაზს“ 2020 წლის 1 აპრილამდე აბონენტად რეგისტრაციის მიზნით, შპს „სოკარ ჯორჯია გაზის“ მიერ სამინისტროსათვის მიწოდებულ იქნეს არა უგვიანეს 2020 წლის 1 მაისისა.“.

2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**